იესეს ძე. დაიბადა ბეთლემში დაახლოებით ძვ.წ.აღ. 1085 წელს, ისრაელის ერთიანი სახელმწიფოს მეფე (ძვ.წ.აღ. 1055-1015 წლებში). მისი ისტორია დაწვრილებით არის აღწერილი 1 მეფ. 16-31, 2 მეფ. და 3 მეფ. 1-2; ხოლო შემოკლებით 1 ნეშტ. 11-29. ღმერთმა დავითი ისრაელიანთა მეფედ ამოარჩია საულის ნაცვლად და სამუელმა სცხო ზეთი გამეფდებამდე დიდი ხნით ადრე (1 მეფ. 16:1-13). იგი მეორედ აკურთხეს მეფედ ხებრონში (2 მეფ. 2:4). საულის ძის იშბოშეთის სიკვდილის შემდეგ ყველა ტომმა აღიარა დავითი თავის მეფედ და ის მესამედ აკურთხეს (2 მეფ. 5:3). დავითმა დაიპყრო იერუსალიმი, იქვე დასახლდა და საზეიმო ვითარებაში გადაიტანა რჯულის კიდობანი (2 მეფ.

6:1-2). მან გააფართოვა თავისი სამეფოს საზღვრები მეწამული ზღვიდან და ეგვიპტიდან ევფრატამდე (2 მეფ. 8). დავითისათვის უცხო არ იყო ზოგიერთი ცდუნება. საღმრთო წერილში აღნიშნულია, თუ როგორ მოექცა იგი ურია ხეთელსა და მის ცოლს ბერსაბეს (2 მეფ. 11). თავის ოჯახში იგი ხედავდა განხეთქილებას, უპატიოსნო საქციელსა და სისხლისღვრას: აჯანყება აბესალომის მეთაურობით, შებაყი (2 მეფ. 20:1-22) და აღონია (3 მეფ. 1:5-8), გამანადგურებელი შიმშილობა და შავი ჭირი, იოაბის უღმერთობა და ა.შ. იმეფა 40 წელი და 70 წლისა გარდაიცვალა. დაკრძალულია „დავითის ქალაქში“ (3 მეფ. 2:10-11), იერუსალიმში; *ნები დაუდის* („დავით წინასწარმეტყველი“) გარეუბანში, იერუსალიმის ახლოს, სამხრეთით, სინაის მთაზე, არის ქრისტიანული ეკლესიის ძველი შენობა, სადაც დგას ზეწარგადაფარებული კუბო – დავითის საფლავის ასლი, რომელიც, გადმოცემით, მიწის ქვეშ არის აკლდამაში. ამ კუბოს ნახვის უფლება არავის აქვს.

დათან 105:17

ელაბის ვაჟი, აბირონის ძმა, კორეს აჯანყების ერთ-ერთი მოთავე (რიცხ. 16:1, 12), რისთვისაც უფალმა ისინი დასაჯა (რიცხ. 16:23-33).

დაფდაფი 32:2; 42:4

დასარტყამი მუსიკალური ინსტრუმენტი, რომელსაც ორივე მხარეს გადაკრული აქვს ტყავი.

ლოიკ იღუმელი (ლოგ იღუმელი) 51

ესავის შთამომავალი, საულის მწყემსთა სარქალი, იმყოფებოდა „უფლის წინაშე“, ე.ი. კარავთან. როცა აბიმელექმა დავითს მისცა გოლიათის მახვილი, ლოიკმა ეს ამბავი საულს აცნობა და ამ უკანასკნელის დავალებით ნობეში დედამწაღიანად ამოხოცეს 85 მღვდელი (1 მეფ. 21:8; 22:9, 18).

ებანი 56:8; 67:25; 70:22; 80:2; 91:3; 97:5; 107:2; 146:7; 150:3
ქნარი; ჩანგი.

ელომი 59; 136:7

(ახალ აღთქმაში *იღუმეა* მარკ. 3:8) წითელი. ესავის მეტსახელი, ეწოდა ოსპის შეჭამადის მოწითალო ფერის გამო, რომელიც მან იაკობს გამოსთხოვა (დაბ. 25:30). აქედან დაერქვა მის მოდგმას ელომელნი, ხოლო ქვეყანას, სადაც ისინი ცხოვრობდნენ – ელომი (დაბ. 32:3; რიცხ. 33:37). ელომელებს მეფეები მართავდნენ (დაბ. 36:31). დავითმა დაიპყრო ისინი და ხელთ იგდო მათი ციხესიმაგრეები (3მეფ. 11:14-15; 2მეფ. 8:14-15).

ეთამ ისრაიტელი (ჰემან ისრაიტელი) 87; 88

ლევინი, კეჰათის და კორეს შთამომავალი (1 ნეშტ. 6:1; 22; 38). დავითის დროს გუნდის სამ ლოტბართაგან ერთ-ერთი (1 ნეშტ. 125:1). მას „მეფის მისანი“ ეწოდება (1 ნეშტ. 25:5).

ეთიოპია, ეთიოპელნი 67:31; 71:9; 73:14; 86:4

ადაპტირებული ტექსტის ეთიოპიას ძველ ქართულ ტექსტში შეესაბამება *ჰინდლოეთი*, თუმცა არც ერთ მათგანს საერთო არაფერი აქვს თანამედროვე ეთიოპიასთან და თანამედროვე ინდოეთთან. ძველ აღთქმაში ამ ქვეყანას ჰქვია *ქუში* (ბერძნებმა და რომაელებმა უწოდეს) და ტრადიციულად მას თარგმნიან, როგორც ეთიოპიას (ასეთი სახელწოდებით მოიხსენიება LXX-ში) და აგრეთვე, როგორც ნუბიას ან სუდანს. იგი ესაზღვრება ეგვიპტეს. როგორც ვხედავთ, ძველ ქართულში *ქუში* ითარგმნებოდა, როგორც *ჰინდლოეთი*. იხ. *ქუში*.

ეფრათა (ეფრათა) 131:6

ბეთლემის ძველი სახელწოდება (დაბ. 35:19; მიქ. 5:1), რის გამოც მის მცხოვრებთ ეფრათელნი ეწოდათ (რუთ. 1:2; 1მეფ. 17:12).

ეკლესია 21:22; 25:12; 34:18

1. ხალხის კრებული, საკრებულო, ხოლო ეკლესიება ნიშნავს შეკრებას. 2. სახლი, რომელიც კრებულის საკუთარ შენობას წარმოადგენდა (ებრ. *ბეთ ჰა-ქენესეთ* ნიშნავს „შეკრების სახლს“; ბერძ. *სინაგოგა*). რჯულში არ არის მითითება სინაგოგის ან სინაგოგური ღვთისმსახურების შესახებ და არც რაიმე კვალი ჩანს მათი არსებობისა ბაბილონის ტყვეობამდე. მორწმუნე ისრაელიანთ ჩვეულებად ჰქონიათ წინასწარმეტყველებთან შეკრება ყოველი თვის დასაწყისსა და აგრეთვე შაბათობით (4 მეფ. 4:23). 3. კარავი შესაკრებელისა (ებრ. 11:9) აღნიშნავს იმ კარავს, რომელიც უფლის ბრძანებით მოსემ დადგა უდაბნოში და სალოცავი სახლის დანიშნულება ჰქონდა. ამ კარავს ეწოდება აგრეთვე „გამოცხადების ან მოწმობის კარავი“ (გამ. 38:21) და „კრებულის კარავი“, რადგან მის გარშემო ხალხი ღვთისმსახურებისთვის იკრიბებოდა.

ერი 2:1, 8; 3:8; 7:8; 9:8, 11, 19-20; 17:43, 47; 21:28; 43:2, 12, 14; 44:5, 17; 46:1, 3, 9; 48:1; 55; 55:7; 56:9; 64; 64:7; 65:7-8; 66:2-5; 67:30; 70:22; 76:14-15, 20; 78:6; 79:8; 82:4; 86:6; 93:10; 95:3, 10, 13; 97:9; 98:2, 4; 101:15, 18, 22; 105:4, 40; 107:3; 109:6; 125:2

ძველ ქართულში ორი მნიშვნელობა აქვს. ერთი თანამედროვე ქართულის *ერს* და *ხალხს* შეესაბამება, ხოლო მეორე თანამედროვე წარმართით გადმოიცემა.

ერმონი (ხერმონი) 41:6; 88:12

მაღალი ქელი, ზღვის დონიდან 3000–3500 მ. სიმაღლეზე, პალესტინის ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვარზე (იესო 12:1; 1 ნეშტ. 5:23), ანტილიბანის სამხ-

რეთი განშტოება, რომელსაც არაბები უწოდებენ *ჯებელ-აშ-შეიხს* „მოხუცის მთა“, ან *ჯებელ-ეს-სელჯს* „თოვლის მთა“. მარადიული თოვლით დაფარული მისი მწვერვალები ხშირად არის ზოტბის საგანი ბიბლიაში. აქაური კვიპაროსისა და კედრის ხეები ძვირფას მასალად ითვლებოდა; მრავალი მდინარე, მათ შორის იორდანე, იღებს სათავეს მისი თოვლიანი მწვერვალებიდან.

ეფრემი 59:7; 79:2; 107:8

ქალაქი, სავარაუდოდ, მდებარეობდა სოფ. თაგების ადგილას, ბეთელის ჩრდილო-აღმოსავლეთით. შესაძლოა, ეს ის ქალაქია, რომელიც ნახსენებია 2 მეფ. 13:23-ში.

ეფრემის ძენი 77:9, 67

ეფრემის ტომმა წილისყრით მიიღო ნაყოფიერი მიწები დანისა და ბენიამინის ტომებს შორის სამხრეთში და მანასეს ტომისა – ჩრდილოეთში (რჯლ. 33:13-17). აღმოსავლეთით საზღვარი იყო იორდანე, ხოლო დასავლეთით – ხმელთაშუა ზღვა (იესო 16:5; 17:10). მათ ტერიტორიას კვეთდა ეფრემის მთა (იესო 17:15), რომელიც მთიანი იუდას გაგრძელებაა. ზოგჯერ ბიბლია „ეფრემს“ უწოდებს ისრაელიანთა 10 ტომის სამეფოს, რომლის დედაქალაქი იყო ეფრემის ტომის კუთვნილ ტერიტორიაზე მდებარე სამარია (ეზეკ. 37:19; ეს. 11:13).

ვარზვი 101:6

პელიკანი, გრძელნიკარტიანი წყლის ფრინველი, ითვლებოდა უწმიდურად. გამოსცემს უსიამოვნო, ყვავის ყრანტალის მსგავს ხმას. მოციქულთა წიგნებში იგი უდაბნოში მობინადრე ფრინველადაა გამოყვანილი.

ვასილისკო 90:13

გესლიანი ქვეწარმავალი, გველი, უხსენებელი. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით: „ესე არს თვალთ მაკუდინებელი მხეცი, გესლიანი“.

ზაბულონი (ზებულონი) 67:27

იაკობის მეათე ძე (დაბ. 30:20), სამი ვაჟის მამა (დაბ. 46:14). იაკობის წინასწარმეტყველებით, ზაბულონის ტომის სამკვიდრო (დაბ. 49:13) არის ქანაანის ის ნაწილი, რომელიც გენესარეთის ტბასა და ხმელთაშუა ზღვას შორის მდებარეობდა და სამხრეთით – ისაქარის ტომს, ჩრდილოეთით კი ნეფთალისა და აშერის ტომებს ესაზღვრებოდა. ზაბულონის მიწაზე იყო ნაზარეთი, კანა და ტიბერიადა (მათ. 4:13). ზაბულონის ტომმა სახელი გაითქვა იაბინის წინააღმდეგ ბარაკისა და დებორას ომებში (მსაჯ. 5:14-15, 18) და გედეონის ომებში (მსაჯ. 6:35). მრავალმა ზაბულონელმა მიიღო მონაწილეობა პასექის დღესასწაულში მეფე ხიზკიასთან ერთად (2 ნემტ. 30:11, 18). წინასწარმეტყველება ზაბულონის შესახებ იხ. რჯლ. 33:18; ეს. 8:23; 9:1; მათ. 4:13.

ზაქარია 111; 137; 138; 145–148

წინასწარმეტყველი, ბერექიას ძე. ზერუბაბელთან ერთად ბაბილონიდან დაბრუნებისთანავე მან, ჯერ კიდევ ახალგაზრდამ, დაიწყო წინასწარმეტყველება. ძვ.წ.ალ. 520 წ. დარიოსის გამეფების მეორე წლის მე-8 თვეს (ზაქ. 1:1), ანგია წინასწარმეტყველთან და ზერუბაბელთან ერთად ზაქარია ამხნევებდა და ტაძრის მშენებლობის განახლებისაკენ მოუწოდებდა ხალხს. მათი მცდელობა წარმატებით დამთავრდა (1 ეზრ. 6:14). ბიბლიაში ცნობილია რამდენიმე სხვა ზაქარიაც.

ზებეე (ზები) 82:11

ზებეე, ზიბი, ორები, საღმანი – მიდიანის მთავრები, რომლებიც გაანდგურა გედეონმა და მისი მოწოდებით ეფრემის ტომმა (მსაჯ. 7:24-25; მსაჯ. 8:5, 21) იმ ადგილებში, რომელთაც შემდგომში ეწოდა „ზებეეს ზევი“ და „ორების კლდე“. ამ ბრძოლის მოგონება დიდხანს ცოცხლობდა ისრაელში (ეს. 9:3; 10:26).

ზეფელნი (ზიფელნი) 53

იუდას მთავორიან ნაწილში, ზებრონის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ქალაქის მცხოვრებნი. ამ ქალაქის შემოგარენს ზიფის უდაბნო ეწოდება. იქ გაექცა დავითი საულს, რომელსაც მამუზარებმა შეატყობინეს ეს ამბავი (1 მეფ. 23:13-19). ზეგანზე, სადაც ძველად ალბათ, უამრავი მუხა ხარობდა, ამჟამად აქა-იქ კიდევ არის შემორჩენილი მუხნარები. ერთ-ერთ ასეთ მუხნარში დავითმა და იონათანმა ხელახლა შეკრეს მეგობრული კავშირი (1 მეფ. 23:18).

ზიბი 82:11

იხ. ზებეე.

ზრახვა 5:10; 9:22; 13:6; 18:14; 32:10; 48:3; 75:10; 91:5; 93:11; 105:43; 106:11; 118:85, 118, 174; 138:2, 20

განზრახვა; ფიქრი; ახსნა; საიდუმლო.

თაბორი 88:12

მთა გალილეის აღმოსავლეთ ნაწილში, ნაზარეთთან ახლოს. ამ მთაზე დაბანაკდა ბარაკი სისარასთან ბრძოლის წინ (მსაჯ. 4:6, 12). მშენიერი და განცალკევებული მთა, რომლის სიმაღლეა დაახლოებით 526 მეტრი ზღვის, ხოლო 320 მეტრი ველის დონიდან.

თარში (თარშიში) 47:7; 71:10

1. სავარაუდოდ, ტირსენის, ანუ ეტრუსკების ტომი. 2. ქვეყანა და ხალხი შორეულ დასავლეთში. განთქმული იყო ვაჭრობითა და ნაოსნობით (ეს. 23:6; 60:9; 66:19). ფსალ. 71:10 თარშიშის მეფეებს მოიხსენებს იმათ შორის, ვინც საჩუქრებს უძღვნის სოლომონ მეფეს. მიიჩნევენ, რომ „თარშიშის ხომალდე-

ბი“ (ეს. 23:1; ეზეკ. 27:25) დიდი გემების სახელწოდებაა. წინასწარტყველები მედიდურების სიმბოლოდ იყენებდნენ (ეს. 2:2-16).

თირკმელები 7:9; 15:7; 25:2; 72:21

თირკმელები განიხილებოდა, როგორც გრძნობათა და სურვილთა ცენტრი.

იაბი (იაბინი) 82:9

1. ხაცორის მეფე ჩრდილოეთ ქანაანში. დაამარცხა იესო ნავეს ძემ (იესო 11:1).
2. მეფე ხაცორში, რომელიც სასტიკად ავიწროებდა ისრაელს 20 წლის განმავლობაში, ვიდრე მისი მხედართმთავარი სისარა არ სძლია ბარაკმა და „თანდათან დაძმობდა ისრაელიანთა ხელი იაბზე, ქანაანის მეფეზე, ვიდრე სრულად არ დალუპეს იგი“ (მსჯ. 4:2-23).

იაკობი 13:7; 19:1; 21:23; 23:6; 43:4; 45:7, 11; 46:4; 52:6; 58:13; 74:9; 75:6; 76:15; 77:5, 21, 71; 78:7; 80:1, 4; 83:8; 84:1; 86:2; 93:7; 97:3; 98:4; 104:6, 10, 23; 113:1, 7; 131:2, 5; 134:4; 145:5; 147:8

ისააკის და რებეკას ძე, ესავის ძმა. რაკი დაბადებისას ხელი ესავის ქუსლზე ჰქონდა მოჭიდებული, სახელად დაერქვა იაკობი ანუ „ქუსლზე მოჭიდებული“. ნიშნავს აგრეთვე „წამაბორძიკებულს“, „ხრიკიანს ანუ მოხერხებულს“ (დაბ. 25-26). მოხერხებულობა მრავალჯერ გამოვლინდა მის საქმეებში. იაბოკთან იგი შეერკინა უფლის ანგელოზს, რომელმაც მას უწოდა ისრაელი, რაც ნიშნავს „ღმერთთან მეომარს“ (დაბ. 32:28). მწუხარება, რომელიც თავს დაატყდა მოხუც იაკობს, როცა იოსები და მისი სხვა შვილები ეგვიპტეში მოხვდნენ, სიხარულით შეეცვალა, როცა გაიგო, რომ მისი შვილი ეგვიპტის განმგებელი იყო. ბეერ-შებაყში დამეული ხილვისას ღმერთმა აღუთქვა იაკობს, რომ მასთან ერთად ჩავიდოდა ეგვიპტეში და იქ მისგან წარმოშობდა დიდ ხალხს (დაბ. 46:1-4). გოშენში 17 წლის ცხოვრების შემდეგ (დაბ. 47:28), მან სიკვდილის წინ იშვილა იოსების ორი ძე – ეფრემი და მანასე. გარდაიცვალა 147 წლისა. შვილებმა იგი დაკრძალეს ქანაანში, მღვიმეში, მახფელას მინდორზე (დაბ. 50:13). ლეასთან იაკობს ჰყავდა ექვსი ძე – რეუბენი, სიმონი, ლევი, იუდა, ისაქარი და ზაბულონი, ხოლო რახელთან ორი – იოსები და ბენიამინი; ხარჭა ბილჰასგან ჰყავდა დანი და ნაფთალი; ხარჭა ზელფასგან – გადი და აშური; დინა – ლეასგან, სულ 12 ძე და ერთი ასული. იაკობის თორმეტმა ძემ ეგვიპტეში სათავე დაუდო ძლიერ და მძლავრ ხალხს, რომელიც შემდეგ მოსემ მონობის ქვეყნიდან ღმერთის მიერ აღთქმულ მიწაზე გამოიყვანა.

იდიოუმი (იედუთუნი) 38; 61; 76

კორეს შთამომავალი ლევის ტომიდან. დავითის დროს მგალობელი იყო (1 ნეშტ. 16:41; 2 ნეშტ. 35:15). 38-ე, 61-ე და 76-ე ფსალმუნები იმ გუნდისთვის არის დაწერილი, რომლის ლოტბარიც იდიოუმი იყო.

ილუმია 59:8-9; 82:6; 107:9-10

იხ. ელომი.

იერემია 64; 136

ნიშნავს „ღმერთი განადიდებს“. მოღვაწეობდა ძვ. წ. აღ. მე-7 საუკუნეში. ჭაბუკობაშივე მოუწოდა უფალმა საწინასწარმეტყველოდ, მაგრამ იერემიამ ახალგაზრდობის მიზეზით უარი თქვა. უფალი შეეხო მის ბაგეებს და აღუთქვა, რომ თავის სიტყვებს უბოძებდა. იერემია ამის შემდეგ 40 წელიწადზე მეტს მსახურობდა. თქმულების თანახმად, ქვით ჩაქოლეს. მის საფლავს ქაიროში გვიჩვენებენ.

იესე 71

იესე იუდას ბეთლემიდან იყო. ჰყავდა 8 ვაჟი და 2 ასული. მისი უმცროსი ძე – დავითი ცხვარს მწყემსავდა. საულის დროს იესე უკვე მოხუცი იყო (1მეფ. 17:12). როცა საულისაგან დევნილი დავითი ყაღულამის მღვიმეში იმალებოდა, მასთან მივიდა მთელი მისი ოჯახი. დავითმა დედ-მამა მოაბელთა ქვეყანაში წაიყვანა და ჩააბარა მოაბის მეფეს საპატრონოდ (1მეფ. 22:1-4). წმიდა წერილი დავითის მშობლებზე მეტს აღარაფერს გვეუბნება.

იემენის ძე 7

იხ. ბენიამინი.

ითამი 73:15

შესაძლოა იგულისხმება იორდანე ან ყეთერი – ქალაქი, რომელიც სიმეონის ტომს ეკუთვნოდა იუდას ბარში (იესო 15:42; 19:7).

იოაბი 59

დავითის დის ცერუიას ვაჟი (1 ნეშტ. 2:16), დავითის მხედართმთავართა უფროსი, კარგი სარდალი. იგი ზოგჯერ სასარგებლო რჩევებს იძლეოდა, როგორც, მაგალითად, აბესალომის საკითხის გადაწყვეტაში (2 მეფ. 14), ანდა ხალხის აღწერისას (2 მეფ. 24:3, 9). იყო მკაცრი და შურისმაძიებელი, რაც დასტურდება აბნერისა და ყამასას მზაკვრულად დახოცვით (2 მეფ. 3:20, 26-27), დავითის მიმართ შეუბრალებელი საქციელით, აბესალომის მკვლელობით (2 მეფ. 18:14), აღონიასთან ერთად შეთქმულებით (3 მეფ. 1:5:7). დავითის ანდერძის თანახმად (3 მეფ. 2:5-6) მოკლეს სოლომონის ბრძანებით (3 მეფ. 2:28-31, 34)

იონადაბი 70

რექაბის ძე, მეფე იეჰუს ახლო მეგობარი. მათ ერთად მოუღეს ბოლო ბაალის მსახურებას (4 მეფ. 10:15, 23). იონადაბმა ანდერძად დაუდო თავის შთამომავლობას, რომ ღვინო არ ესვათ (იერ. 35:6).

იოსები 76:15; 77:67; 79:1; 80:5; 104:17

1. მამამთავარ იაკობის მეთერთმეტე და ყველაზე საყვარელი ვაჟი. შეეძინა რახელთან (დაბ. 35:24). იოსები ძმებმა მიჰყიდეს ეგვიპტისკენ მიმავალ ვაჭრებს. 30 წლის იოსები მთელი ეგვიპტის განმგებელი გახდა ცაფნათ-ფაყნახის ტიტულით. ვარაუდობენ, რომ ეს სიტყვა ნიშნავს „ქვეყნიერების მხსნელს“ ან „აღმომჩენს“ (დაბ. 41:45). შიმშილობის გამო მისი ძმები და მოხუცი მამა მთელი სახლეულით ეგვიპტეში გადასახლდნენ. იოსები 110 წლისა გარდაიცვალა. სიკვდილის წინ თავისი ძმები დააფიცა, რომ, როცა მათ ღმერთი მოწყალებას მოუვლენდა, მისი ძვლები გადაესვენებინათ ალტჰუმელ მიწაზე. მოსემ აღასრულა იოსების ანდერძი და მისი ნეშტი გადასვენა ქანაანში, საგვარეულო სასაფლაოზე, შექემთან (გამ. 13:19; იესო 24:32; საქმე. 7:16). იოსების საფლავს უჩვენებენ ნაბლუსთან ახლომდებარე ველზე, ღებალსა და გარიზიმს შუა, იაკობის ჭის შორიახლოს. 2. იოსები ზოგჯერ ეწოდება ორ ტომს, რომლებიც იოსების ორი ვაჟის, ეფრემისა და მანასეს, შთამომავლები არიან. იაკობმა მათ თავისი შვილების თანაბარი უფლებები მისცა. მანასეს ტომს იოსების ტომი ეწოდება (რიცხ. 13:11). ზოგჯერ ეფრემის ტომს იოსების სახლადაც მოიხსენიებენ (3 მეფ. 11:28), მაგრამ ორივე ტომს ერთად იოსები (დაბ. 49:22; რჯლ. 33:13) ან იოსების ძენი ეწოდება (მსაჯ. 1:22, 23).

ისაკი 104:9

„ღმერთის დაპირებით შობილი“. სარას და აბრაჰამის პირველი ძე. ღმერთმა მას გაუმეორა ალტჰმა, რომელიც ადრე მისცა აბრაჰამს (დაბ. 17:19).

ისმაიტელნი 82:6

ისმაელის, აგარისგან შობილი აბრაჰამის ვაჟის შთამომავლები (დაბ. 16:12). ცხოვრობდნენ „ხავილადან შურამდე“ (დაბ. 25:18), არაბეთის ნახევარკუნძულის დასავლეთსა და ჩრდილოეთში, შემდგომში კი დაიკავეს მთელი უდაბნო სპარსეთის ყურემდე; წარმოადგენდნენ არაბი ხალხის ბირთვს. დაბ. 37:25-ში ისმაელიანები მოხსენებული არიან, როგორც მომთაბარე ვაჭრები, ხოლო ფსალ. 82:6-ში – როგორც ისრაელის მტრები.

ისრაელი 13:7; 21:23; 24:22; 40:13; 49:7; 52:6; 58:5; 67:8, 26, 34; 35; 68:6; 70:22; 71:18; 72:1; 75:1; 77:5, 21, 31, 41, 55, 59, 71; 79:1; 80:4, 8, 11, 13; 82:4; 88:18; 97:3; 102:7; 104:10, 23; 105:48; 113:1-2, 17, 20; 117:2; 120:4; 121:4; 123:1; 124:5; 127:6; 128:1; 129:6, 8; 130:3; 134:4, 12, 19; 135:11, 14, 22; 146:2; 147:8, 148:14; 149:2; 151:7

1. სახელი, რომელიც ღმერთმა უწოდა იაკობს ანგელოზთან ბრძოლის შემდეგ ფენუელში (დაბ. 32:28-30). 2. იაკობისგან წარმოშობილი ხალხის სახელწოდება: ძენი ისრაელისა, ისრაელი ხალხი, ისრაელიანები ან უბრალოდ, ისრაელი. ისრაელიანთა მიერ დასახლებულ ქანაანის მიწასაც ეწოდება „ქვეყანა ისრაელი-სა“. საულის სიკვდილის შემდეგ ებრაელი ხალხი გაიყო: იუდას ტომმა დავითი

აღიარა თავის მეფედ, ხოლო დანარჩენმა ტომებმა – იშბოშეთი, საულის ძე. ამ თერთმეტმა ტომმა მიითვისა ისრაელიანებად წოდების უფლება (2 მეფ. 2:9). ამ განსხვავებას სახელწოდებაში კიდევ უფრო გაესვა ხაზი სოლომონის სიკვდილის შემდეგ, როცა ათი ტომი საბოლოოდ განდგა და შექმნა განსაკუთრებული სამეფო – „სამეფო ისრაელისა“ და „განუღვა ისრაელი დავითის სახლს დღევანდლამდე“ (3 მეფ. 12:19). ბაბილონის ტყვეობის შემდეგ სახელით ისრაელი კვლავ მთელი ებრაელობა მოიხსენება.

იუდა 59:7; 67:27; 77:68; 107:8

მსაჯულთა შემდეგ ისრაელს მეფეები მართავდნენ. პირველი სამი – საული, დავითი და სოლომონი – მთლიანი და განუყოფელი ქვეყნის მეფე იყო. სოლომონის სიკვდილის შემდეგ, მისი ძის რობოამის მეფობის ჟამს, ათმა ტომმა (975 წ. ძვ.წ.ად.) შექმნა ისრაელიანთა ცალკე სამეფო. მხოლოდ იუდას და ბენიამინის ტომები დარჩნენ დავითის სახლის ერთგულნი და შექმნეს იუდას სამეფო (3 მეფ. 12:23-24). შემდგომში ბენიამინის ტომის დიდი ნაწილი შეუერთდა ჩრდილოეთის, ანუ ისრაელის სამეფოს. მხოლოდ მისი სამხრეთი ნაწილი ქალაქ იერუსალიმითურთ დარჩა იუდას სამეფოს, მასვე ეკუთვნოდა დანისა და სიმეონის სამფლობელოები. ისინი ვერ შეუერთდებოდნენ ისრაელის სამეფოს, რადგან მისგან ჰყოფდა მძლავრი იუდას ქვეყანა. ისრაელის სამეფო გაცილებით დიდი და მრავალრიცხოვანი იყო, ვიდრე იუდასი. ისრაელის (ანუ ჩრდილოეთის) სამეფოს ზოგჯერ ეწოდება „ეფრემი“, რადგან იქ ეფრემის ტომი პირველობდა. მის საზღვრებში იყო აგრეთვე ქ. სამარია, რომელიც ერთ დროს სამეფოს დედაქალაქი იყო.

კადესი 28:8

1. მდებარეობს ბერ-შებას სამხრეთით 80 კმ-ზე. აქ გაიარეს ქანაანისაკენ მიმავალმა ისრაელიანებმა. 2. ლევიანთა ქალაქი და იმავე დროს თავშესაფარი ქალაქი ნეფთალის ტომის საზღვრებში. ამჟამად ესაა სოფ. კადესი მერომის ტბის ჩრდილო-დასავლეთით. 3. ქალაქი იუდას ტომის სამხრეთ ნაწილში.

კანჯარი 103:11

ზებრა; გარეული ვირი.

კაპარჭი 10:2

ისრის ქარქაში, ისრების ჩასაწყობი ბუდე.

კასია 44:8

ინდუსური ხის (cinnamomum cassia) ნაზი მერქანი, გამოიყენებოდა წმიდა მირონის დასამზადებლად.

კიშონი 82:9

მდინარე, იზრეყელის ველის გავლით ერთვის ხმელთაშუა ზღვას ქარმელის ჩრდილოეთით. ზაფხულობით იგი თითქმის შრება, ძლიერი წვიმების დროს კი მისი დონე იმდენად მატულობს, რომ სისარას მხედრობა ჩაიხრჩო მასში (მსაჯ. 4:13; 5:21). კიშონთან დახოცა ელიამ ბაალის ქურუშები (3 მეფ. 18:40).

კორე (კორახი) 41; 43-48; 83-84; 86-87

მოსეს ბიძაშვილი ლევის ტომიდან (გამ. 6:21); დათანთან და აბირამთან ერთად აუჯანყდა მოსესა და აჰრონს და ისრაელიანთა სხვა თავკაცებიც ჩაითრია. გამოაცხადა, რომ მთელი ხალხი წმიდაა და რომ მოსე და აჰრონი თავს სხვებზე მაღლა აყენებენ (რიცხ. 16:1-3). კორეს, დათანსა და აბირამს თავიანთ ახლობლებთან და ქონებასთან ერთად მიწამ უყო პირი (რიცხ. 16:31). მეორე დღეს, როცა ხალხი დრტვინავდა მათი დაღუპვის გამო, უფალმა მოსხო 14700 კაცი. ღმერთის რისხვა დააცხრო აჰრონის მიერ კმევამ. გადარჩა კორეს სამი ვაჟი, რომლებიც არ მონაწილეობდნენ ამ აჯანყებაში (გამ. 6:24; რიცხ. 26:9-11). მათი მოდგმა, „კორეს ძენი“, ემსახურებოდნენ კარავს ზღურბლის მცველებად, დარაჯობდნენ ბანაკთან მისასვლელს (1 ნეშტ. 9:18-19; 26:1), აცხობდნენ პურს ტაძრისთვის (1 ნეშტ. 9:31) და მგალობელთა გუნდის წევრები იყვნენ (2 ნეშტ. 20:19). ზოგიერთ საუკეთესო ფსალმუნსაც მათ მიაწერენ.

ლევი 134:20

იაკობის მესამე ძე, შეეძინა ლეასთან. დედამ უწოდა მას ლევი, რაც ნიშნავს „თავს შემოვლებას“, რადგან იფიქრა, რომ ახლა კი შეიყვარებდა მას ქმარი (დაბ. 29:34). ლევის ჰყავდა სამი ვაჟი – გერშომი, კოჰათი (კეჰათი) და მერარი და ერთი ასული – იოქებელი, რომელმაც შვა მოსე (გამ. 6:16). იაკობმა დაწვევლა ლევი და სიმონე შექქმელთა დახოცვისათვის (დაბ. 49:5-7). ფართო გაგებით ლევიანები ეწოდება ლევის მთელ შთამომავლობას ვიწრო მნიშვნელობით კი ლევიანებში იგულისხმებიან ლევის ტომის ის წევრები, რომლებიც აჰრონის შთამომავლები არ არიან (რიცხ. 18:1-2). ლევის მთელი ტომი ღმერთმა გამოარჩია ტაძარში მსახურებისათვის (რიცხ. 3:6-9; ეზეკ. 44:15), როგორც პირველშობილის წარმომადგენლნი მთელი ხალხისაგან. ეგვიპტის მონობიდან გამოსვლის შემდეგ ლევიანებმა მიიღეს მსახურების განსაკუთრებული კურთხევა (რიცხ. 3:12). უდაბნოში ხეტიალისას მათი მოვალეობა იყო ზრუნვა კარავსა და მის საგნებზე, რომელსაც ისინი თან ატარებდნენ.

ლიბანი 28:5-6; 36:35; 71:16; 91:12; 103:16

არაბეთის ლუბნანი (თეთრი), ვრცელი მთაგორიანი მხარე პალესტინის ჩრდილო საზღვარზე (რჯლ. 11:24; იესო 1:4), იწყება იორდანეს წყაროდან. მისი ორი ქედი გადაჭიმულია სიდონიდან ტრიპოლისამდე და ზღვის სანაპირომდე. დასავლეთის ქედი, კერძოდ ლიბანი, ჯებელ-მახმალის მწვერვალით, მდებარეობს ტრიპოლისიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით (3063 მ. ზღვის დონიდან). აღმოსავ-

ლეთის ქედს ბერძნებმა ანტილიბანი უწოდეს, არაბებმა კი ჯეხელ-ელ-შერკი ანუ „ლიბანი აღმოსავლეთისკენ“ (იესო 13:5). მისი უმაღლესი პუნქტია მთა ხერმონი (2860 მეტრი ზღვის დონიდან), რომელიც სამხრეთით მდებარეობს. ლიბანის ზოგიერთი მწვერვალი თოვლის ზოლს აღწევს. ბიბლიაში ხშირად მოიხსენება ეს დიდებული მთაგრენილი – ჩრდილოელი მტრებისაგან დამცავი მძლავრი ბურჯი (ეს. 10:34; 35:2; 37:24). აღწერილია ხეები, რომელთაც ქარები არხევენ ლიბანზე, მისი ვეებერთელა ნაძვები და ფიჭვები (ეს. 60:13; იერ. 22:23; ოს. 14:6), ირმის ჯოგები, ლომები და ვეფხვები (ქებ. 4:8), მისი ცივი მდინარეები (ქებ. 4:15), მარადიული თოვლი (იერ. 18:14), საუცხოო ღვინოები (ოს. 14:7-8) და სურნელოვანი ბალზამი (ოს. 14:7). ლიბანის ზოგ ადგილას დღემდე შემორჩენილი ძველი ტაძრების ნანგრევები.

ლოთი (ლოტი) 82:8

ჰარანის ძე, აბრაჰამის ძმისწული, თავის ბიძასთან ერთად გამოვიდა ჯერ ქალდეველთა ურიდან, ხოლო შემდეგ ჰარანიდან, რათა ქანაანში დასახლებულიყო (დაბ. 11:31; 12:4; 13:1). როცა ქანაანში მათი ცხვრის ფარები ვეღარ ეტეოდა საძოვრებზე და მწყემსებს შუღლი ჰქონდათ ერთმანეთში (დაბ. 13:5-6), ისინი მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს. ლოთი დასახლდა ნაყოფიერ ველებზე, სოდომის ახლოს, სადაც. სოდომისა და მისი შემოგარენი ქალაქების დაქცევამდე ცხოვრობდა (დაბ. 19:1-26). სოდომის განადგურებისას მან დაკარგა ცოლი, სიძეები და მთელი ქონება. გადარჩა მხოლოდ მართალი ლოთი (2პეტ. 2:7) და მისი ორი ასული.

ლხინება 24:11; 38:13; 102:3; 129:4

დაწყნარება, პატიება, შენობა, შველა, მიტევა, განკურნება, მოსვენება, ხსნა, შვების მიცემა.

მაღიამი (მიდიანი) 82:9

აბრაჰამის მეოთხე ძის, მაღიამის შთამომავლები (დაბ. 25:2). არაბული ტომი, რომელთა სამშობლოც, არაბი გეოგრაფების მიხედვით, უნდა იყოს აქაბას ყურის აღმოსავლეთით მდებარე ქვეყანა; ცხოვრობდნენ ჩრდილოეთით – მოაბის ქვეყნამდე და დასავლეთით – სინაის ნახევარკუნძულამდე (გამ. 3:1; 18:1). მათ ზოგჯერ ჩრდილოეთის ტომების საერთო სახელწოდებით – ისმაელიანები – იხსენიებენ (დაბ. 37:25, 28, 36; მსაჯ. 8:24), თუმცა ისინი ძლიერ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ჩანს, რომ საქონლით, აქლემითა და მრავალგვარი განძეულობით მდიდარი, ძლიერი და მომთაბარე ხალხი იყო (ეს. 60:6; მსაჯ. 7:12). მოაბელებთან ერთად, ისინი მზაკვრულ გემებს აწყობდნენ, რათა ისრაელიანები ჩაეგდოთ უძლებობასა და კერპთმსახურებაში (რიცხ. 22:4, 7; 25:5-8). დიდხანს მწარედ ახსოვდათ ისრაელიანთ „მაღიამის დღეები“ (ეს. 9:3-4), როგორც უდიდესი უბედურებისა და ღვთისგან უდიდესი შეწვევის ყამი.

მაელეთი 52; 87

1. მუსიკალური საკრავი (ფლელიტა). 2. მელოდიის სახელწოდება.

მანასე (მენაშე) 59:7; 79:2; 107:8

1. იოსების უფროსი ძე, ეფრემის ძმა. ეფრემი და მანასე იაკობმა იშვილა და იოსების ნაცვლად მემკვიდრეებად დაიყენა (დაბ. 41:51; 46:20; 48:1). მანასე ეფრემზე უფროსი იყო, მაგრამ მან ნაკლები კურთხევა მიიღო. მოხუცმა იაკობმა ხელები განგებ ისე გადაავჯარედინა, რომ მარჯვენა ეფრემს დაალო თავზე, და არა მანასეს, იოსების სურვილის საწინააღმდეგოდ (დაბ. 48:13, 19). 2. მანასეს ტომი (რიცხ. 1:10; რჯლ. 33:17) ორ შტოდ გაიყო. ერთმა თავისი სამკვიდრო მიიღო იორდანეს აღმოსავლეთით, ბასანის საზღვრებში, იაბოკის ჩრდილოეთით, მეორემ კი – ეფრემისა და ისაქარის სამფლობელოებს შორის, ხმელთაშუა ზღვის მიმართულებით. მანასეს ტომის აღმოსავლეთი ნახევარი ჩაეფლო კერპ-თმსახურებაში და პირველ რიგში იქნა წაყვანილი ტყვეობაში (1 ნეშტ. 5:26). დასავლეთმა ნაწილმა უფრო მეტი ღვთის მორჩილება გამოიჩინა (2 ნეშტ. 30:1, 11, 18; 34:6, 9).

მელქისედეკი (მელქიცედეკი) 109:4

ქანაანის მეფე. იგი პურითა და ღვინით გამოეგება ჩრდილოეთი ქანაანის მეფეებზე გამარჯვებულ აბრაამს და აკურთხა უფლის სახელით, რისთვისაც მიიღო ნაალაფარის მეთაუდი (დაბ. 14:18). მეორედ მელქისედეკი მოიხსენიება 1000 წლის შემდეგ 109-ე ფსალმუნის წინასწარმეტყველებაში, სადაც მესიას მისი სახელით მიმართავენ: „შენ ხარ მღვდელი უკუნისამდე მელქისედეკის წესით“.

მოაბელნი 82:6

მოაბელთა მამამთავარი იყო მოაბი, ლოთის ძე (დაბ. 19:37); ცხოვრობდნენ მკედარი ზღვის აღმოსავლეთით, არნონის სამხრეთისაკენ. თაყვანს სცემდნენ ხამოსსა და ბელფეგორს, ებრძოდნენ ისრაელს ყველონის (მსაჯ. 3:12), დავითის (2 მეფ. 8:2, 11-12), იორამისა და იოშაფატის დროს (4 მეფ. 3:13, 20). „და დავაბრუნებ მოაბელ ტყვეებს უკანასკნელ დღეებში“, – ამბობს უფალი. აქამდეა მოაბის განაჩენი (იერ. 48:46-47).

მოაბი 59:8; 107:9

არაბული ტომი, რომლისგანაც ღმერთმა ბევრჯერ იხსნა ისრაელი. მათი სამშობლო იყო ქალაქი მაცონი, ახლანდელი მაცანი, კლდოვანი არაბეთი, პეტრას აღმოსავლეთით. ამონელნიც, ალბათ, უნდა მიეკუთვნებოდნენ მოაბიანებს, რომლებიც მოიხსენიებიან 2 ნეშტ. 20:1-ში.

მონა; მონება 17; 18:11, 13; 21:30; 26:9; 30:16; 33:22; 34:27; 35; 68:17, 36; 73:23; 77:70-71; 78:2, 10; 79:4; 80:6; 85:2, 4, 16; 88:3, 20, 39, 50; 89:13, 16; 101:14, 28; 104:6, 17, 25-26, 42; 108:28; 115:7; 118:17, 24, 38, 49, 65,

76, 84, 90, 122, 124-125, 135, 140, 176; 122:2; 131:10; 133:1; 134:1, 9, 14; 135:22; 142:2, 12; 143:10

მსახური; მსახურება.

მოსე (მოშე) 76:20; 89; 98:6; 102:7; 104:26; 105:16, 23, 32

სახელი მოსე მოდის ებრაული მაშახისგან – „ამოყვანა“ ან ეგვიპტური სიტყვებიდან მო (წყალი) და უშე (გადარჩენილია). მოსე დაიბადა ეგვიპტეში, დაახლოებით ძვ.წ.აღ. 1570 წ. მისი მშობლები იყვნენ ყამრამი, კააფას ძე, ლევის შვილიშვილი და იოქებელი – ყამრამის მამიდა და ცოლი (გამ. 6:20). ჰყავდა სამი წლით უფროსი ძმა აჰრონი (გამ. 7:7). მისი ცხოვრება იყოფა სამ პერიოდად, თითოეული 40 წელს მოიცავს. ეს პერიოდებია: აღზრდა ეგვიპტეში, მწყემსობა და უდაბნოში ხეტიალი (საქმე. 7:23, 30, 36). მას არ ჰქონდა ქანანის ქვეყანაში შესვლის უფლება კადესში ჩადენილი ცოდვის გამო (რიცხ. 20:12; რჯლ. 1:37; 3:26). მან მხოლოდ ფისგას მწვერვალთან იხილა ქანანის მშვენიერება, რათა შემდეგ, უფლის სიტყვის მიხედვით, მომკვდარიყო მოაბის ქვეყანაში (რჯლ. 34:6). მოსეს მიეწერება 89-ე ფსალმუნის „ლოცვა მოსესი, მონისა ღვთისა“. ბიბლიის პირველი ხუთი წიგნი, რომელსაც აგრეთვე უწოდებენ ხუთწიგნულს, თავდაპირველად შეადგენდა ერთ მთლიან ნაწარმოებს სახელწოდებით „მოსეს რჯული“, „წიგნი მოსესი“, ან „წიგნი მოსეს რჯულისა“ (ნემ. 8:1). ებრაელები მას ახლაც უწოდებენ თორას ანუ „რჯული, კანონი“ ან თორათ მოშე ანუ „მოსეს რჯული“.

მური 44:8

ყვავილებისაგან გამოწურული სქელი, სურნელოვანი ზეთი.

ნათან წინასწარმეტყველი 50

დავითის მეგობარი და მრჩეველი. მან თავდაპირველად მოიწონა დავითის გადაწყვეტილება, აეშენებინა ტაძრი, მაგრამ როდესაც ღვთის გამოცხადება მიიღო, ეს საქმე სოლომონს განუსაზღვრა (2 მეფ. 7:4-13). მისი პირით უფალმა ამხილა დავითი ბერსაბეს გამო; მისი პირითვე გადასცა უფალმა დავითს პატიება (2 მეფ. 12:1-13). ნათანმა სოლომონს უწოდა იედიდია – „ღმერთის საყვარელი“ (2 მეფ. 12:25) და მოეხმარა გამეფებაში (3 მეფ. 1:11-13). სოლომონმა მადლიერების ნიშნად მისი შვილები მაღალ თანამდებობებზე დანიშნა (3 მეფ. 4:5). ნათანმა დაგვიტოვა ისტორიული ცნობები დავითისა და სოლომონის მეფობის შესახებ (1 ნემტ. 29:29; 2 ნემტ. 9:29).

ნაკერპავი 105:28

კერპებისათვის, ანუ მკვდარი ღმერთებისთვის შეწირული.

ნეფთალემის მთავარი 67:27

იაკობის მეექვსე ვაჟის ნეფთალის (ბალასთან შეეძინა) შთამომავლები. თავად ნეფთალს ოთხი ძე ჰყავდა (დაბ. 30:8).

ოგი (ყოგი) 134:11; 135:20

ამორეველთა ძლევაბოსილი მეფე ბასანში; უკანასკნელი რეფაიბელთაგან, ცხოვრობდა ყაშთაროთში. დაამარცხა მოსემ და ოგის მდიდარი ქვეყანა, გამაგრებული ქალაქებითა და ცხვრის ფარებით, მანასეს ტომს ერგო (რიცხ. 21:33; რჯლ. 1:4; 3:1; 4:47; 31:4; იესო 2:10; 12:4; 13:30).

ორები (ყორები) 82:11

იხ. ზებეე.

ორლანო 150:4

სიმებიანი საკრავი ინსტრუმენტი, საგალობელის სინონიმი. სავარაუდოდ, შეესაბამება ქნარს.

რააბი (რაბა) 86:4

ამონელთა დედაქალაქი. მდებარეობდა მკვდარი ზღვის ახლოს, ჩრდილო-აღმოსავლეთით, იორდანედან 30-40 კმ-ზე (იესო 13:25). ამ ქალაქის ალყის დროს დაიღუპა ურია. დაიპყრო დავითმა (2 მეფ. 12:26-29), მაგრამ ქალაქმა კვლავ მოიპოვა დამოუკიდებლობა. ეწინასწარმეტყველა მძიმე სასჯელი ისრაელიანთათვის მიყენებული ბოროტებისათვის. პტოლემეოს ფილადელფოსმა გაამშვენებრა ქალაქი და უწოდა ფილადელფია. დღევანდელი ქალაქი ამანი.

რვალი 17:34

სპილენძი.

რქა 17:2; 74:4-5, 10; 88:17, 24; 91:10; 111:9; 117:27; 131:17; 148:14

სამსხვერპლოს ოთხივე კუთხეზე აღმართული რქები (გამ. 27:2; იერ. 17:1). მათ უსვამდნენ ზოგიერთი ცხოველის სისხლს (გამ. 29:12; ეზეკ. 43:20). შეწყალების მოხონელი დამნაშავე ამ რქებს ჰკიდებდა ხელს (3 მეფ. 1:50; 2:28). რამდენადაც ზოგი ცხოველი რქით იჩენს თავის ძალას, რქა ძლიერების სიმბოლო გახდა.

საბას მეფენი 71:10

ქვეყანა, სადაც ბრვე ხალხი ცხოვრობდა (ეს. 45:14). შესაძლოა, რომ ეს არის ძველი მეროეს სამეფო, ან ეთიოპიის საერთო სახელწოდება. უკანასკნელ შემთხვევაში მიუთითებენ სტრაბონის მიერ მოხსენიებულ ქალაქ საბეზე, რომლის ნავსადგურია საბა არაბეთის ყურის დასავლეთ სანაპიროზე.

საბელი 118:61

თოკი, თასმა.

საგალობელი 48:4; 80:2; 151:2

აქ: სიმებიანი საკრავი ინსტრუმენტი.

სადარავო 89:4; 129:6

აქ: დროის სამსაათიანი მონაკვეთი.

საკრებულო 21:25; 39:9; 110:1

აქ: ებრაელ მორწმუნეთა შესაკრებელი. იხ. ეკლესია.

საღმანა 82:11

იხ. ზებეე.

საღმობა 17:4; 114:3; 126:2

ტკივილი, ტანჯვა.

სამოელი (სამუელი) 98:6

ღვთისმოსავმა დედამ იგი გამოსთხოვა უფალს და აღთქმა მისცა, რომ მოწმიდარად (ნაზორეი) შესწირავდა. ჯერ კიდევ მცირეწლოვანი წაიყვანა შილოს უფლის სახლში, სადაც იგი გაიზარდა ელი მღვდლის მეთვალყურეობით და მონაწილეობდა საწმიდრის მსახურებაში. ელის სიკვდილის შემდეგ გახდა მსაჯული. ისრაელიანებმა მისი ზეგავლენით მოსპეს თავიანთი კერპები (1 მეფ. 7:3) და ომში დაამარცხეს ფილისტიმელები (1 მეფ. 7:7-10). სამოელი მთელი სიცოცხლის მანძილზე განსჯიდა ხალხს (1 მეფ. 7:15). მან მეფედ სცხო საული, კიშის ძე (1 მეფ. 9; 10:1). სამოელმა დაწერა მეფის უფლებები წიგნად და დადო იგი „უფლის წინაშე“ (1 მეფ. 10:25). დასაფლავებულია რამაში, თავის სახლში (1 მეფ. 25:1). სამოელი არის წინასწარმეტყველთა სკოლების დამაარსებელი და ხელმძღვანელი (1 მეფ. 19:20). გარდა ამისა, მან დატოვა ისტორიული ჩანაწერები ღვთის საქმეთა შესახებ (1 ნეშტ. 29:29).

სამშენველი 65:9

აქ: უკვდავი ადამიანში, მისი მარადიული არსება, რომლის მოკვლა და მოსპობა შეუძლებელია.

სასო, სასობა (ესავს) 5:11; 7:1; 10:1; 17:30; 20:7; 21:4; 24:2,20; 30:1, 6, 14, 24; 31:10; 32:22; 33:8; 51:8; 54:23; 55:3, 4, 11; 59:8; 61:7; 64:5; 70:1; 77:7; 85:2; 90:2; 107:9; 113:16-19, 43; 117:9; 118:74, 116, 146-147; 129:6; 140:8; 142:8; 143:2; 144:15; 145:5

იმედი, საიმედო; იმედოვნება, იმედის ქონა.

სარგებელი 29:9

მარგებელი; მოსაგები; შეწვენა. აქ: მეგალისათვის მისაცემი სარგებელი.

საული 17; 51; 53; 56; 58

მდიდარი ბენიამინელი კაცის, კიშის ძე, ისრაელიანთა პირველი მეფე, დაახლოებით ძვ.წ. აღ. 1095–1055 წლებში. მისი ისტორია გადმოცემულია 1 მეფ. 9–31 თავებში. სამოელი (იხ. სამოელი) აპირებდა მსხვერპლის შეწირვას გორაკზე, როცა საული მივიდა მასთან. სამოელს ეუწყა უფლისაგან, რომ საული არის სწორედ ის, ვის შესახებაც წინაღობით მიიღო გამოცხადება. მეორე დღეს მან მართლმართომ აკურთხა საული მეფედ (1 მეფ. 10:1), ხოლო საყოველთაო-სახალხო კრებაზე მიცფაში იგი ღმერთის მითითებით აირჩიეს მეფედ; საული წარმატებით ებრძოდა ისრაელიანთა მტრებს (1 მეფ. 14:47). გამოირჩეოდა პირადი მამაცობით. ღმერთის მიმართ თავისი გულმოდგინება საულმა იმით გამოავლინა, რომ ქვეყნიდან განდევნა მუცლითმეზღაპრენი და მჩხიბავნი (1 მეფ. 28:3). ღვათმა სამგლოვიარო სიმღერა უგალობა საულსა და მის ძეს იონათანს. საულის მეფობის ხანგრძლივობა არ არის მითითებული ძველ აღთქმაში; საქმე 13:21-ის მიხედვით ეს პერიოდი 40 წლით განისაზღვრება. იგივეს ადასტურებს იოსებ ფლავიოსი.

საფსალმუნე 32:2; 70:22; 91:3; 143:9; 149:3

მუსიკალური ინსტრუმენტი, რომლის თანხლებითაც სრულდებოდა ფსალმუნები.

საწნახელი 8; 80; 83

1. ერთგვარი სიმებიანი ინსტრუმენტი, იყენებდნენ მკის დღესასწაულის დროს.
2. ყურძნის საჭყლეტი (სულხან-საბა ორბელიანი). 3. „საწნახლები“ მოიაზრება ქრისტიანული ტაძრების სიმბოლოდ: ქრისტე ვენახია, მოციქულები – რტოები, ქრისტიანული სარწმუნოება – ყურძნის მტევანი, ტაძრებში კი იწურება ქრისტიანული მოძღვრების ღვინო, რომელიც ახარებს მორწმუნეთა გულს.

სელმონი 67:14

მთა შექემის ახლოს. მისი ფერდობები დაფარულია გაუვალი ხშირი ტყით, ხოლო მწვერვალი – თოვლით. აბიმელექმა ამ ტყეში მოჭრილი ხის ტოტები შემოუწყო შექემის კოშკს და ცეცხლი წაუკიდა. ამოწყდნენ მისი მეციხოვნეები, ათასამდე ქალი და კაცი (მსაჯ. 9:48, 49).

სელომი (სილოამი) 77:60

ნაბლუსიდან სამხრეთით 2,5 კმ-ზე, სადაც ამჟამად სეილუნის ნანგრევებია. ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი წმიდა მიწაზე მსაჯულთა ეპოქაში. აქ იესო ნავეს ძემ დადგა კარავი და დაასრულა მიწების დაყოფა (იესო 18:1; 19:51). კარავი და აღთქმის კიდობანი იქ დარჩა ელის დრომდე (მსაჯ. 18:31; 1მეფ. 3:2-3, 21). შემდეგ „მიატოვა უფალმა სელომის სავანე“ და ეს ადგილი აქცია თავისი მართალი რისხვის მაგალითად.

სეონი 134:11; 135:19

1. ამორეველთა მეფე. მეფობდა არნონსა და იაბოკს შორის მდებარე ოლქზე, საიდანაც განდევნა მოაბელნი. მან არ დაანება ებრაელებს თავის ტერიტორიაზე გავლა, შეებრძოლა და დამარცხდა (რიცხ. 21:21-24; რჯლ. 2:26-33). ისრაელიანებმა მისი სამეფო რეუბენისა და გადის ტომებს გადასცეს (რიცხ. 32:33; რჯლ. 29:8). 2. სიხონი იგივეა, რაც ხებრონი (იერ. 48:45).

სიკიმა (შექეში) 59:6; 107:7

ეს ქალაქი მდებარეობდა შუა პალესტინაში, ეფრემის ტომის მთიან ნაწილში (იესო 20:7; 21:21; 3მეფ. 12:25), წყლებით მდიდარ და ნაყოფიერ ველზე ერიზიმის მთის ძირას (მსაჯ. 9:7), თითქმის 80 კმ-ზე იერუსალიმის ჩრდილოეთით. პატრიარქები სწორედ ამ ადგილას მოუწოდებდნენ უფალს (დაბ. 12:6; 33:19-20; იესო 24:25). დღევანდელი ნაბლუსი.

სინაი 67:8

მთა, სადაც ცეცხლსა და კვამლში გახვეული უფალი გამოცხადა ისრაელს და მისცა თავისი რჯული (გამ. 19:2; რიცხ. 3:1; რჯლ. 33:2; საქმე. 7:30; გალ. 4:24-25). ამ მთას ეწოდება აგრეთვე ღვთის მთა, ხორები, სადაც ცეცხლმოდებული მაყვლის ბუჩქიდან უფალი პირველად ელაპარაკა მოსეს (გამ. 3:1; რჯლ 1:6; 4:10, 15). სინაის უდაბნოში, სინაის მთის პირისპირ დაიბანაკეს ისრაელიანებმა და იქ დარჩნენ მთელ წელიწადს. სწორედ ამ დროს მიიღეს მათ მოსესგან რჯული (გამ. 20:1-17).

სიონი 2:6; 9:11, 14; 13:7; 19:2; 47:2, 11-12; 49:2; 50:18; 52:6; 64:1; 68:35; 72:28; 73:2; 75:2; 77:68; 83:7; 86:2, 5; 96:8; 98:2; 101:13, 16, 21; 109:2; 124:1; 125:1; 127:5; 128:5; 131:13; 132:3; 133:3; 134:21; 136:1, 3; 145:10; 147:1; 149:2

1. იგივეა, რაც ერმონი. 2. ნიშნავს „მზიურს“. იერუსალიმის ერთ-ერთი მთა, ებუსელთა ძველი ციხესიმაგრე (იესო 15:63), რომელიც დავითმა აიღო, ახალი სამეფო ქალაქის მთავარ სიმაგრედ აქცია, შემდეგ კი „დავითის ქალაქი“ უწოდა (2 მეფ. 5:7, 9; 1 ნეშტ. 11:5) და აქ დაიკრძალა კიდევ (3 მეფ. 2:10). ძველი გადმოცემით, ივარაუდებოდა, რომ სიონი ერქვა სამხრეთ-დასავლეთის ერთ-ერთ იმ მაღლობს, რომლებზედაც აშენდა იერუსალიმი. ამ მაღლობზე მუსულმანები დღემდე იცავენ ე.წ. „დავითის საფლავს“. სიონი ზშირად გამოიყენება იერუსალიმის აღმოსავლეთი მაღლობის სახელწოდებად, იმ მთისა, რომელზეც ააგეს ტაძარი. სიონი არის საყვარელი სახელი იერუსალიმისა და მისი წმიდა მთის, სადაც დაივანებდა უფალი (ეს. 2:3; 8:18; 24:23; მიქ. 4:2). ფიქრობენ, რომ სიონი იერუსალიმის სამხრეთ-დასავლეთის მაღლობი კი არ იყო, არამედ აღმოსავლეთის, ანუ ტაძრის მთა. 3. სიონის ასული, იერუსალიმისა და მისი ხალხის პოეტური სახელწოდებაა (ეს. 1:8; ზაქ. 9:9; მათ. 21:5; იოან. 12:15).

სისარა 82:9

მეფე იაბის მხედართმთავარი, დაამარცხეს ბარაკმა და დებორამ; მოკლა იაყელმა, ხებერის ცოლმა (მსაჯ. 4:7-21; 1 მეფ. 12:9).

სკორე 82:10; 112:7

ნაკელი.

სოლომონი 71

დავითის ძე და მეძკვიდრე. მეფობდა დაახლოებით ძვ.წ.აღ. 1015–975 წლებში. (3 მეფ. 1–11; 1 ნემტ. 29:1; 19; 21–25). დავითმა ნათან წინასწარმეტყველს მიანდო სოლომონის აღზრდა. მეფობის მეოთხე წელს სოლომონმა დაიწყო ტაძრის მშენებლობა, რაც 7 წლის თავზე დაასრულა (3 მეფ. 6). ტაძარი აკურთხეს და მასში გადმოიტანეს ალთქმის კილობანი; სოლომონმა თავისი სამეფო 12 ოლქად დაყო, ტომებად დაყოფისგან დამოუკიდებლად. მან გამოთქვა 3000 იგავი და შეადგინა 1005 საგალობელი. 126-ე ფსალმუნის სათაურის მიხედვით მისი ავტორი არის სოლომონი. მასვე ეკუთვნის მრავალი იგავი „იგავთა წიგნში“. „ეკლესიასტეს“ და „ქებათა ქების“ ავტორიც სოლომონი უნდა იყოს.

ტაბლა 22:5; 68:22; 77:19-20; 127:3

მაგილა, სუფრა.

ტანეოსი (ცოყანი) 77:12, 43

იგივეა, რაც ბერძენთა მიერ მოხსენებული სამეფო ქალაქი ტანისი, ნილოსის ტანისის განტოტებასთან რომ მდებარეობდა. ძველი ქალაქი ეგვიპტეში (ეს. 30:3-4), სადაც მოსემ ზოგიერთი სასწაული მოახდინა. ამ ქალაქის მთავრებს ესაია „შემლილებს“ უწოდებს (ეს. 19:11, 13). უფალი ცეცხლით განადგურებას უქადა ტანეოსს (ეზეკ. 30:14).

ტაძარი 5:7; 10:4; 17:6; 26:4; 27:2; 28:9; 44:8, 15; 47:3, 13; 64:4; 67:29; 70:16; 78:1; 95; 137:2; 143:12

აქ: იერუსალიმის ტაძარი. ბიბლიაში ხშირად ეწოდება უფლის სახლი (2 ნემტ. 3:1; 5:1), ღვთის სახლი (1 ეზრ. 1:4; 3:8) და უფლის ტაძარი (1 ეზრ. 3:6, 11; ანკ. 1:2; 2:15). სოლომონის დროიდან იერუსალიმში სამი ტაძარი არსებობდა: 1) პირველი ტაძარი, რომელიც სოლომონმა ააგო, არსებობდა ძვ.წ.აღ. 1004–558 წლებში.

2) ზერუბაბელის ტაძარი. სპარსეთის მეფე კიროსმა ძვ.წ.აღ. 536 წელს ბაბილონში მცხოვრებ ებრაელებს ნება დართო, დაბრუნებულნიყვნენ სამშობლოში და იერუსალიმში აეგოთ ტაძარი. ტირშაფამ (იუდას სპარსელი განმგებელი), ზერუბაბელმა და მღვდელმთავარმა იესომ აღსავლენი სამსხვერპლოს აგება დაიწყეს მის ძველ ადგილას და სამსხვერპლო ღვთისმსახურება აღადგინეს (1 ეზრ. 3:6-12). ეს ტაძარი გადარცვა ანტიოქოს ეპიფანემ და წაბილწა კერპო-

მსახურებით (1 მაკ. 1:20-24; 44-49). „გატიანების სისადაგლე“ – ოლიმპოს იუპიტერის სამსხვერპლო – დაიდგა აღსავლენის სამსხვერპლოზე. ძვ.წ.ად. 167 წელს (1 მაკ. 1:54; 2 მაკ. 6:2). მაკაბელნი აღდგენ თავისუფლებისთვის, განდევნეს არამელები, აღადგინეს საწმიდარი, კვლავ აკურთხეს ტაძარი (1 მაკ. 4:36-37) და ტაძრის მთა კელლებითა და გოდლებით გაამაგრეს (1 მაკ. 4:60; 6:7). ძვ.წ.ად. 164 წელს იუდა მაკაბელიმა და ისრაელიანთა საზოგადოებამ 25 დეკემბერი ტაძრის აღდგენის სამახსოვრო დღედ დაადგინეს. ამ დღეს ტაძრის განახლების (საღმურების) (ებრ. ხანუკა) დღესასწაული ეწოდა (1 მაკ. 4:59).

3) ჰეროდეს ტაძარი. ჰეროდემ ტაძრის გაფართოება გადაწყვიტა. მშენებლობა დაიწყო ქრისტეს დაბადებამდე 20 წლით ადრე და დამთავრდა 64 წელს, ანუ მის სრულ დანგრევამდე 6 წლით ადრე. ებრაელებმა არ დაანებეს ჰეროდეს დიდს ერთბაშად დაენგრია ზერუბაბელის ტაძარი, იგი თანდათანობით იღებდა მის ნაწილებს ყოველი ახალი ნაწილის აგებასთან ერთად. ამ ტაძარს დიდხანს ეწოდებოდა „მეორე ტაძარი“.

ტვიროსი 44:12

ძვ. ებრ. ცორი ნიშნავს „კლდეს“. ფინიკიელთა სავაჭრო ქალაქი ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე. აქ მეფობდა ხირამი (2 მეფ. 5:11; 3 მეფ. 5:1), რომელსაც დავითთან და სოლომონთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა. იუდასა და ისრაელს მის ბაზრებში შემოჰქონდათ ხორბალი, თაფლი, ზეთი და მური. უკვე ამოსი და იოელი უწინასწარმეტყველებდნენ მას სასჯელს იმის გამო, რომ დაივიწყა ძველი მეგობრობა და ისრაელიანთ მონებად ჰყიდდა ედომელებსა და ბერძნებზე (ამოს. 1:9-10).

ურვა 24:17; 106:6, 13, 19, 28; 118:53

წუხილი, გასაჭირი.

ურია 50

ურია ხეთელი, ბესარბეს ურია ქმარი, დავითის ერთ-ერთი მხედართმთავარი (იხ. დავითი, ბერსაბე).

უპოვარება 106:41

სიღატაკე.

უსუბი 50:7

ერთგვარი სურნელოვანი ბალახი. მისგან აკეთებდნენ წმიდა წყლის სასხურებელ ფუნჯს.

ფინეზი (ფინხასი) 105:30

ელეაზარის ძე, აპარონის შვილიშვილი (გამ. 6:25), მესამე მღვდელმთავარი. მან, ღვთის დიდებისთვის თავგამოდებულმა, მოკლა სიმეონიანთა თავკაცი ზიმრი

და ამით თავის ხალხს ააცილა ღვთის რისხვა; ამიტომაც აღუთქვა მას ღმერთმა, რომ მის მოდგმას სამარადისოდ მიენიჭებოდა მღვდლობა (რიცხ. 25:7, 10-13). ღვთის დაპირება აღსრულდა; ფინეზმა მრავალგზის გამოავლინა თავდადება საღმრთო საქმეში (იესო 22:13; მსავ. 20:28).

ფსალმუნი 1-14; 18-34; 36-42; 45-50; 56:8; 61-68; 70-72; 74-84; 86; 87; 91-93; 94:2; 96-100; 102; 103; 107-109; 136-140; 142; 143; 150:3; 151
 ებრაულად მიზმორ ნიშნავს მუსიკის თანხლებით ღმერთის სადიდებლ გლობას. ამ სავალობელთა კრებულმა მიიღო სახელწოდება *ფსალმუნნი* ბერძნული სიტყვიდან *ფსალო*, რაც ნიშნავს სიმღერას სიმებიანი მუსიკალური საკრავის თანხლებით; (საკრავს ებრაულად ეწოდება *ნებელ*, ბერძნულად – *ფსალტერიონ*, ქართულად – *საფსალმუნე*). მე-80 ფსალმუნში სიტყვა *ფსალმუნი* ინსტრუმენტის მნიშვნელობით იხმარება. ძველი ქართული ტრადიციის თანახმად ფსალმუნთა კრებულს *ღავითნი* ეწოდება.

ფუჭი 2:1; 30:6; 40:6; 59:11
 ცული, ამაო, ცარიელი, უვარგისი.

ქანაანი 104:11; 105:38; 134:11

1. ქამის ძე, ნოეს შვილიშვილი (დაბ. 9:18). ფინიკიელთა და ქანაანელთა მამამთავარი (დაბ. 10:15). წყევლა, რომლითაც ნოემ მიმართა ქამს, ქანაანს აუსრულდა (დაბ. 9:20-25). 2. ასე ერქვა (ვიწრო მნიშვნელობით) ხმელთაშუა ზღვის სანაპირო ზოლს, სადაც ცხოვრობდნენ ქანაანელები. ეს იყო ნაწილი მთელი ქანაანისა, რომელშიც მთიანი ქანაანიც შედიოდა (რიცხ. 13:29; იესო 11:3). ასე ერქვა ფინიკიასა (ეს. 23:11) და ფილისტიმელთა ქვეყანას (სოფ. 2:5). 3. გვიან ასე ეწოდებოდა (ფართო მნიშვნელობით) მთელ ქანაანის ქვეყანას იორდანის დასავლეთით. რეუბენისა და გადის ტომები დასახლდნენ გალაადის ქვეყანაში, დანარჩენი ტომები კი ქანაანის ქვეყანაში წავიდნენ (რიცხ. 32:30; იესო 22:9, 32). აქედან გამომდინარე, ქანაანი ეწოდებოდა ქვეყანას ხმელთაშუა ზღვასა და იორდანეს შორის, ლიბანიდან ეგვიპტის ხევამდე (რიცხ. 33:51; 34:2; 35:10, 14). ქანაანის ქვეყანა დაიპყრო და დაანაწილა იესო ნავეს ძემ, რომლის ბრძანებით ეს ქვეყანა აღწერეს კიდევც.

ქერუბიმი (დაბრძანდა ქერუბიმებზე, ქერუბიმებზე მჯდომარე, ქერუბიმებზე მჯდომი) 17:10; 79:1; 98:1

სჯულის კიდობნის თავსარქელის კიდევებზე იდგა ოქროს ორი ერთმანეთისაკენ დახრილი ქერუბიმი, რომლებიც ფრთებით ფარავდნენ მას (გამ. 25:18-20; 37:7-9). კრეტსაბმელზეც იყო ამოქარგული ქერუბიმები (გამ. 36:35). სოლომონის ტაძრის წმიდათა წმიდაში იდგა ორი დიდი ქერუბი ზეთისხილისგან გამოკვეთილი და ოქროს ფურცლებით მოჭედილი ფიგურა იდგა (3 მეფ. 6:23-29). რაკი ღმერთს სურდა თავის ხალხს გამოცხადებოდა აღთქმის კიდობანზე, ამიტომ

მას ხშირად ეწოდება „ქერუბიმებზე ამხედრებული“ (1 მეფ. 4:4; 2 მეფ. 6:2; 4 მეფ. 19:15; ეს. 37:16).

ქორები 105:19

იგივეა, რაც სინაის მთა. უფალი აქ ელაპარაკა პირველად მოსეს ცეცხლმოღებული მაყვლის ბუჩქიდან (გამ. 3:1-2). ქორები (ხორები) მდებარეობდა რეფიდიმის ბანაკთან, სადაც ხალხმა წყალი მოსთხოვა მოსეს. უფლის ბრძანებით, მოსემ კვერთხი დაჰკრა კლდეს და იქიდან წყალმა გადმოხეთქა (გამ. 17:1-6).

ქუში 7

საგვარტომო ნუსხაში მოხსენებულია, როგორც ქამის უფროსი ძე (დაბ. 10:6). ეს სახელი ბიბლიაში ახლოს დგას *მიცრაიმთან*, ე.ი. ეგვიპტესთან. ლურსმულ ტექსტებში სიტყვა *ქუში/ქუში* მოთავსებულია *მუზურის/მიცრაიმის* გვერდით. მასასადაძე, *ქუში* აღნიშნავს ეგვიპტის გვერდით მცხოვრებ ხალხს. ამას ამტკიცებს ისიც, რომ ტიტული „მეფე ეგვიპტისა და ქუშისა“ ლურსმულ წარწერებში ხშირად ენაცვლება ტიტულს „მეფე ეგვიპტისა და მილუქისა“. *ქუში* ნიშნავს ეთიოპიას ეგვიპტის სამხრეთით. ძველ აღთქმაში ეგვიპტე და ეთიოპია (*ქუში*) ხშირად ერთად არის ნახსენები (ეს. 20:3; იერ. 46:8-9). ერთ-ერთი ვერსიით, *ქუში* ზოგადად სამხრეთის ხალხების მნიშვნელობით უნდა გავიგოთ (დაბ. 10:8; 2:13). იხ. ეთიოპია.

ღაღადი, ღაღადება 3:4; 4:3; 5:1; 9:6, 12; 16:6; 17:6; 19:8; 21:3, 5; 24; 26:6-7; 29:8; 30:22; 32:3; 33:6, 17; 46:1; 5; 54:16; 56:2; 60:2; 64:13; 65:1, 17, 19; 68:3; 76:1; 80:1; 85:3, 7; 87:1, 9, 13; 94:1-2; 97:4, 6; 99:1; 101:1; 106:6, 13, 19, 28; 117:5; 118:145-146; 119:1; 129:1; 140:1; 141:1, 5; 150:5
ყვირილი; მოწოდება.

შტახსი 44:8

სურნელოვანი ზეთი, ყვავილების მტკრისაგან დამზადებული.

ცვალეზადათვის 44; 59; 68; 79

მათვის, ვინც შეიცვლება.

ცხება, ცხებული 2:2; 17:50; 19:6; 26; 27:8; 83:9; 88:38, 51; 104:15; 131:10, 17; 151:4

კეთილსურნელოვანი ზეთის ცხება წესად ჰქონდათ ებრაელებსა და აღმოსავლეთის სხვა ხალხებს. ცხება იყო სინარულის, სტუმრისადმი პატივისცემის ნიშანი (მათ. 6:17; ლუკ. 7:38, 46), არცხება კი ღრმა მწუხარებას გამოხატავდა (დან. 10:3; ეს. 61:3). ცხება მეფედ კურთხევის (1 მეფ. 9:16; 3 მეფ. 19:15), მღვდელმთავრად კურთხევისა (გამ. 30:30; 40:13; ლევ. 16:32) და წინასწრემეტყველად განწესების რიტუალის მთავარ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა (3 მეფ.

19:16). ცხებისათვის გათვალისწინებულ ზეთს ამზადებდნენ განსაკუთრებული რეცეპტით: მური, დარიჩინი, სურნელოვანი ლერწამი, კასია და ზეთუნის ზეთი (გამ. 30:22-23). მისი გამოყენება არ შეიძლებოდა სხვა მიზნებისთვის (გამ. 30:32). წმიდა ნელსაცხებით ცხებულს ებრაულად ეწოდებოდა მესია, ხოლო ბერძნულად – ქრისტე.

ცხონება (აცხონებს); მაცხოვარი, მაცხოვარება 6:4; 11:1; 19:9; 24:5; 26:1, 9; 27:9; 36:40; 37:22; 39:10, 16; 41:5, 8, 11; 42:5; 50:12, 14; 53:1; 59:5; 61:2, 6; 64:5; 66:2; 67:20; 68:1, 29; 70:2, 15; 78:9; 84:4, 6, 9; 85:2, 16; 88:26; 90:16; 95:2; 97:1, 3; 105:47; 108:26; 115:4; 117:14, 21, 25, 28; 118:25, 40, 117, 155, 175; 131:16; 139:7; 143:10; 144:19; 149:4
გადარჩენა, ხსნა, მხსნელობა.

ძაღლისმწერი 104:31
ბუზის სახეობა (musaca canina).

ძეგლისწერა 15; 55; 56; 58; 59; 57
აქტი, ტრაქტატი, დადგენილება.

ძეძვი 57:9
ეკლიანი დატოტვილი ბუჩქი.


ძეძენარი 117:12
იხ. ძეძვი.

ძეწნი 136:2
ტირიფი.

წინწილა 150:5
მუსიკალური საკრავი. ლითონის თევში, რომელსაც მეორე ამნაირივე თევშის დაკვრით ახმაურებენ.

ჭიმი 31:9
კანაფის აღვირი.

ჭურთასტანი 47:11; 62; 68:35; 75:1; 96:8; 113:2
იუდეა იხ. იუდა.



ფსალმუნნი

ძველი ქართული კანონიკური ტექსტი
(მხედრული და ნუსხური) და
თანამედროვე ქართულ ენაზე ადაპტირებული
პარალელური ტექსტი
მეორე გამოცემა

Псалтирь

древнегрузинский канонический текст (мхедрули и нусхური)
и параллельный текст на современном грузинском языке
(на грузинском языке)

Psalms

Old Georgian Canonical text (mkhedruli and nuskhuri)
and the parallel text of its adaptation into Modern Georgian
(in Georgian)

ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.05.2012

საქართველოს საპატრიარქოს სტამბა, წმ. სამების ლავრა, თბილისი